მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 31 ივლისი.

“დინამო” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) - 4:1 (2:0).

მოსკოვი: იაშინი, შტაპოვი, რიაბოვი, ზიკოვი, მასლოვი, ანიჩკინი, სმირნოვი, სიომინი, ავრუცკი, ლარინი, ევრიუჟიხინი (ეშტრეკოვი).

თბილისი: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, რეხვიაშვილი, ჭოხონელიძე, პეტრიაშვილი, ილიადი, ასათიანი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

მსაჯი ბ. სტრენცისი (რიგა).

დუბლიორები - 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

მოსკოველ მაყურებელს ჯერ კიდევ თვალწინ ედგა თბილისის “დინამოს” თამაში “სპარტაკთან”. მართალია, ბევრმა მიმომხილველმა ეს მატჩი ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნია მიმდინარე სეზონში, მაგრამ მისი ეს კარგი სანახაობრივი მხარე უმთავრესად სპარტაკელთა საუცხოო თამაშმა განაპირობა: თბილისელები მათ აშკარად ჩამორჩებოდნენ.

იგივე ამბავი გამეორდა 31 ივლისს მოსკოვის “დინამოს” სტადიონზე. მაყურებელი ისევ კმაყოფილი დარჩა და ეს იმიტომ, რომ გაიმარჯვა იმ გუნდმა, რომელსაც იგი ქომაგობდა. თანაც, გამარჯვებული კარგად თამაშობდა, ხოლო დამარცხებული - აშკარად სუსტად.

ასეთი საპასუხისმგებლო მატჩისთვის გუნდი ყოველმხრივ მზად უნდა იყოს და დეტალურად გაითვალისწინოს ყოველი შესაძლებელი ვარიანტი. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მატჩის დასაწყისი, რომლისთვისაც თბილისის “დინამო” უდავოდ, მოუმზადებელი აღმოჩნდა. ხურცილავას არყოფნა მძიმედ დაეტყო გუნდს. ორივე სტოპერი (კანთელაძე და რეხვიაშვილი) ძალიან ცუდად თამაშობდა, სისტემატურად ცდებოდა და აგვიანებდა მეკარე ურუშაძე, ყოვლად უსუსურად გამოიყურებოდა ნახევარდაცვა... მაგრამ ეს ეხება მატჩის საერთო მსვლელობას, ჩვენ კი გვინდა ხაზი გავუსვათ მის დასაწყისს.

ჯერ მხოლოდ მე-5 წუთი იყო, როცა ურუშაძემ პირველი ბურთი გამოიტანა ბადიდან, თუმცა მასლოვმა შორიდან დაარტყა და მეკარეს არ უნდა გაეშვა ბურთი.

მე-13 წუთზე მეორე გოლი გაიტანა ლარინმა. აი, სწორედ ამ დროს, დასაწყისში, მასპინძლები ყველაფერით სჯობდნენ თავიანთ მეტოქეს და ცხადი იყო, რომ თბილისელები მზად არ იყვნენ ასეთი დასაწყისისთვის: მათ სრული ფიასკო განიცადეს დებიუტშივე.

აქ უფლებას მივცემ თავს მცირე ექსკურსი გავაკეთო წარსულში და შევახსენო ფეხბურთის მოყვარულებს, რომ თუ თბილისის “დინამოს” განუცდია რაიმე უსიამოვნება მინდორზე, ეს, უპირველეს ყოვლისა, თავისი მოსკოველი თანაკლუბელებისგან. რარიგ ცუდადაც უნდა გამოდიოდეს მოსკოვის “დინამო” თბილისელებთან იგი მუდამ მოწოდების სიმაღლეზეა, თბილისელები კი, ტრადიციისამებრ, ყოველ ახალ მატჩში ახალ სიურპრიზს აწყდებიან.

ასე იყო ამჯერადაც. სიტყვას აღარ გავაგრძელებ და ვიტყვი, რომ განვლილ მატჩში თბილისის “დინამო” კვლავ ძალზე არაორგანიზებულად გამოიყურებოდა.

48-ე წუთზე, როცა ავრუცკიმ მესამე ბურთი შეაგდო სტუმრების კარში, მატჩის ბედი უკვე გარკვეული იყო. მართალია, 62-ე წუთზე მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა გ.

ნოდიამ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა, მაგრამ ეს საქმეს უკვე აღარ უშველიდა, მითუმეტეს, რომ 79-ე წუთზე სიომინმა კიდევ ერთხელ შეძლო ურუშაძის კარის აღება.

თბილისელთა თამაში ამ დღეს ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა.

ვ. პავლოვი (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო”, 2 აგვისტო, 1969 წ.